

ღია წერილი ქართული ოპოზიციის ლიდერებს

ბერფასო მეგობრებო,

მოგმართავთ იმ ადამიანების სახელით, რომელთაც უდიდესი წვლილი შეიგანეს ქართული ბიზნესისა და ეკონომიკის განვითარებაში; რომელთაც შექმნეს ათიათასობით სამუშაო ადგილი და გააუმჯობესეს მრავალი მოქალაქის საცხოვრებელი პირობები.

მოგმართავთ სწორედ იმ დროს, როდესაც 9 აპრილის საპროტესტო დემონსტრაციისათვის ემზადებით, ხოლო ბიზნეს სამოგალოება, მეგად შეწუხებული, იმედოვნებს, რომ პროტესტი აზრის გამოხატვის მშვიდობიან ფორმას შეინარჩუნებს. მოგმართავთ, რადგანაც მსოფლიოში არსებულმა ფინანსურმა კრიზისმა დიდი ზიანი მიაყენა საქართველოს. მოგმართავთ, რადგან საინვესტიციო კაპიტალი მცირდება, ახლად შექმნილი, განვითარებადი ეკონომიკა ვეღარ უწევს კონკურენციას დასავლეთს, ხოლო ქართული საწარმოები კი იბრძვიან საკუთარი თავის გადასარჩენად.

2007 წლიდან ქართული ბიზნესი არაერთხელ იღვა განადგურების საფრთხის წინა, კარგად გვახსოვს ნოემბრის მოვლენები, რომელსაც საპრემიენგო და საპარლამენტო ლეგიტიმური არჩევნებისათვის მზადებით გამოწვეული სტაგნაციის პერიოდი მოჰყვა. მოგვიანებით აგვისტოს ომმა უდიდესი დარცმვა მიაყენა ქვეყანას და დღეს მსოფლიო ფინანსური კრიზისით გამოწვეულ პრობლემებს ვუმკლავდებით. უკვე რამდენიმე თვის განმავლობაში ფიქსირდება სამუშაო ადგილების გაუქმება. გემოჩამოთვილ ნეგატიურ მოვლენათა ჯაჭვმა ჩვენს ქვეყანას დააკარგვინა როგორც პოტენციური ინვესტორები, ასევე საერთაშორისო პარტნიორები და უცხოური კაპიტალი, რომელიც დღესდღეობით ასე სჭირდება საქართველოს ეკონომიკური კრიზისის დასაძლევად.

ყველასათვის ცნობილია, რომ დემოკრატიის პირობებში ადამიანი სარგებლობს აზრის თავისუფალი გამოხატვის პრივილეგიით, თუმცა უნდა

გვახსოვდეს, რომ ამ პრივილეგიას თან ახლავს უდიდესი პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ არ დაირღვეს ქვეყნის ერთიანობა და გათვალისწინებული იქნას მისი თვითოეული მოქალაქის მოთხოვნილებები და უფლებები. მაშინ, როდესაც საქართველოს ხელისუფლებასა და საერთაშორისო ინსტიტუტებს მშვიდობიანი მიგინგები პროტესტის მისაღებ ფორმად მიაჩნიათ, ბიზნეს სამოგადოება თვლის, რომ 9 აპრილის დემონსტრაციები მეტად უდროო და სახიფათოა საქართველოს ეკონომიკისათვის და შესაძლებელია ქვეყნისთვის მეტად სავალალო შედეგები გამოიღოს.

თითოეულმა ჩვენგანმა კარგად იცის, რომ დაგეგმილია 9 აპრილის საპროტესტო დემონსტრაციების ფართოდ გაშუქება საერთაშორისო მედიის საშუალებით. მილიონობით ადამიანი მთელს მსოფლიოში იხილავს ახალ ამბებს სათაურით “მღელვარება საქართველოში”. თქვენ, როგორც “დღის გმირები”, ამას დიდ გამარჯვებად მიიჩნევთ, ისევე როგორც ეს 2007 წელს მოხდა. დიპლომატიური მისიები ჩათვლიან, რომ აქცია დემოკრატიული ღირებულებების დემონსტრირების მორიგი მცდელობაა, მაშინ როდესაც პოტენციური ინვესტორები საქართველოს არასტაბილურ ქვეყანად მონათლავენ და თავს აარიდებენ ნებისმიერ კაპიტალდაბანდებას ქვეყანაში. ამის შედეგად დაზარალებულია მხოლოდ საქართველო და მისი მოსახლეობა, ხოლო დაზარალებულთა რიცხვში თვითოეული თქვენთაგანიც მოხვდება. კიდევ უფრო გრაგიკული არის ის, რომ საპროტესტოდ გამოსული მრავალი ადამიანი დაკარგავს სამუშაოს, და იქცევა მსხვერპლად იმ უარყოფითი შედეგებისა, რომელსაც საპროტესტო დემონსტრაციები გამოიწვევს საერთაშორისო მნიშვნელობის ინვესტორების დაკარგვის თვალსაზრისით.

დემოკრატიული ღირებულებების დაცვა ზოგადად ქვეყნისთვის სასარგებლო პრაქტიკას წარმოადგენს, ისევე როგორც ფიზიკური ვარჯიშებია სასარგებლო ადამიანის ჯანმრთელობისათვის. თუმცა, საჭიროა მოვიშველიოთ საღი აზრი და თავი ავარიდოთ ფიზიკურ დატვირთვას მაშინ, როდესაც ადამიანი ავად არის, შემდგომი გართულების თავიდან ასაცილებლად. საქართველო სწორედ ამ მდგომარეობაშია დღეს, იგი დაუძლურებულია ნოემბრის საპროტესტო აქციების, საპრეზიდენტო და შემდგომი საპარლამენტო არჩევნების შედეგების მოლოდინის, აგვისტოს ომისა და საერთაშორისო ფინანსური კრიზისის გამო. არცერთი შეგნებული ადამიანი, რომელსაც უყვარს საკუთარი სამშობლო, არ დააყენებს ქვეყანას დაღუპვის რისკის ქვეშ და არ გამართავს მორიგ რაუნდს საპროტესტო აქციებისა, რომელსაც არ გააჩნია მკაფიოდ განსაზღვრული გეგმა და

სამოქმედო სტრატეგია. ამგვარი მცდელობა ანარქიამდე მიგვიყვანს და მარცხიც გარდაუვალი იქნება.

ოპოზიციის ლიდერებო, მოგიწოდებთ პაგრიოტიზმისაკენ, სწორედ იმ შემართებისკენ, რამაც რუსული აგრესია შეაჩერა და ბაფხულის უმძიმესი დღეები გადააგანინა საქართველოს. მაგრამ, თუკი მაშინ აღვილი იყო მგრის ცნობა, ახლა, ოსტატურად შენიღბული, იგი მულმივად აღევნებს თვალყურს თვითოეულ თქვენს ნაბიჯს და თქვენგან იმ მისიის შესრულებას ელის, რომელიც თავად ვერ აღასრულა. და თუკი ეს მიზანი მაინც იქნება მიღწეული, ქვეყნის ეკონომიკა სრული გაჩანაგების საშიშროების წინაშე დადგება. გთხოვთ, ნუ წამოეგებით პროვოკაციას, რადგანაც მერწმუნეთ, ისტორია არ გაგამართლებთ.

მერწმუნეთ, ის რისი გადაჭრაც შეიძლება კონსტრუქციული დიალოგის გზით, არ ითხოვს საპროტესტო აქციების გამართვას. გამომდინარე ბემოთქმულიდან გთხოვთ დაუყოვნებლივ შემოუსხდეთ მოლაპარაკების მაგიდას და თქვენი მიზნები და სატკივარი საქართველოს ხელისუფლებას ღიად გაუზიაროთ ცივილური გზით. მხოლოდ დიალოგის საშუალებით იქნება შესაძლებელი თქვენი მიზნების მიღწევა და ქვეყნის ინტერესების დაცვა.

პატივისცემით,
ფადი ასლი
საქართველოში მსოფლიო ბიზნეს ორგანიზაციის
საერთაშორისო სავაჭრო პალატის
ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარე